



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №27

29 მაისი 2018 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 100 კვ.მ.
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში
უსასყიდლოდ გადაცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად,

1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 100 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 53.19.31.364) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე